

ETHNOLINGUISTIC ASPECTS OF STUDYING THE TERM "TSULI" ("SON", "MAN")

„წული“ ტერმინის შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები

MARIAM KOBERIDZE

Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract.

Ethnolinguistic studies are of special importance in the study of the relationship between language and culture, the peculiarities of the perception of the world by different ethnic groups.

The purpose of the article is to describe and contextually analyze the content and form aspects of the ethnolinguistic term "Tsuli". Ethnological and linguistic aspects are reflected in the mentioned term, which are confirmed in dictionaries of the Georgian language and clarified and filled with additional content in ethnolinguistic texts.

In the texts and dictionaries of the ancient and modern Georgian language, "tsuli" refers to son, son, man, and related terms can be found: tsulaki-nephew; tsulebrivi - gender-male, ram, male; sakhlistsuli-born at home, son of a servant; dedatsuli-family; siqaltsule -virginity, purity; sepetsuli-a man of the king's surname, a person close to the king; distsuli- niece, niece son; mepistsuli -prince-king son; tsulistsuli-grandson...

In the mountains of Eastern Georgia, in particular, in Pshav-Khevsureti, "tsuli" means a son and expressed the relationship between the cross (/khati) and the male member of the community. According to the tradition spread here, the eldest son of the family was considered the protector of the community from birth, and after fulfilling the rule of "satsule" he became the owner of the property belonging to the village.

In this rule, the ritual of rolling a naked child under the age of one year under the flag, which has a corresponding explanation in the ethnographic literature, is particularly noteworthy: the child's children by the cross. By rolling the child under the cross, the paternal relationship between the cross and the child was established. This act indicates the genetic connection between the cross and the tsul (son): the cross adopted the child and made it his own. In Pshav-Khevsureti, "man" is confirmed as a parallel term for "tsuli", and Akhaltsuli/Akhalkatsi means a newborn male child.

"Tsuli" (/shvili) from the lexical-semantic and functional group of the public name by means of affixes to the proper name, the Georgian surnames were created: Tsulukidze, Tsuladze, Tsulukiani, Tsuleiskiria, Tsulaya...

Key words: ethnolinguistics; Tsuli (// son, man); language; culture; tradition; religion;

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი.

ეთნოლინგვისტურ კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენისა და კულტურის ურთიერთობის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებების შესწავლის საქმეში.

სტატიის მიზანია „წული“ ეთნოლინგვისტური ტერმინის შინაარსობრივი და ფორმობრივი მხარეების აღწერა და კონტექსტური ანალიზი. აღნიშნულ ტერმინში ასახულია ეთნოლოგიური და ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც დასტურდება ქართული ენის ლექსიკონებში და ზუსტდება და ივსება დამატებითი შინაარსით ეთნოლინგვისტურ ტექსტებში.

ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებსა და ლექსიკონებში „წული“ აღნიშნავს ვაჟიშვილს, ძეს, მამაკაცს, გვხვდება მასთან დაკავშირებული ტერმინები: წულაკი-ძმისშვილი; წულეზრივი-მამრი, ვერძი, მამაკაცი; სახლისწული-სახლში შობილი, მსახურის შვილი; დედაწული-ოჯახი; სიქალწულე-სიწმინდე; სეფეწული-მეფის გვარის კაცი, მეფესთან დაახლოებული პიროვნება; დისწული-დისშვილი ვაჟი; უფლისწული-მეფისშვილი ვაჟი; წულისწული-შვილიშვილი...

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში „წული“ ვაჟიშვილს ნიშნავს და გამოხატავდა ჯვარისა (//ხატისა) და თემის წევრი მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულებას. აქ გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი დაბადებიდან ითვლებოდა თემის მფარველი ჯვარის „ყმად“ და „საწულეს“ წესის შესრულების შემდეგ სოფლის კუთვნილი ქონების მესაკუთრე ხდებოდა.

ამ წესში განსაკუთრებით საყურადღებოა შიშველი, ერთწლამდე ასაკის ბავშვის დროშის ქვეშ შეგორების რიტუალი, რომელსაც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში შესატყვისი ახსნა აქვს მოძებნილი: ჯვარის მიერ ბავშვის შვილების. ბავშვის ჯვარის ქვეშ შეგორებით ჯვარსა და ბავშვს შორის მამაშვილური ნათესაობა მყარდებოდა. ეს აქტი მიუთითებს ჯვარისა და წულის (შვილის) გენეტიკურ კავშირზე: ჯვარმა ბავშვი იშვილა და თავისი შვილი გახადა. ფშავ-ხევსურეთში „წულის“ პარალელურ ტერმინად დასტურდება „კაცი“, ხოლო ახალშობილი ასაკის მამრობითი სქესის ბავშვის აღმნიშვნელად კი- ახალწული//ახალკაცი.

„წული“ (//შვილი) საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადასვლით ნაწარმოებია ქართული გვარები: წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირი, წულაია...

საკვანძო სიტყვები: ეთნოლინგვისტიკა; წული (// შვილი, კაცი); ენა; კულტურა; ტრადიცია; რელიგია;

შესავალი. ენისა და ეროვნული კულტურის ურთიერმიმართების, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებების შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოლინგვისტურ კვლევებს. რელიგიის, რწმენის, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესწავლა ენისაგან იზოლირებულად შეუძლებელია. მეტყველება, როგორც კოლექტიური, წმინდა ისტორიული მემკვიდრეობა და გრძელვადიანი სოციალური გამოყენების პროდუქტი, მჭიდრო კავშირშია ეთნოგრაფიასა და ისტორიასთან. ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებსა და ლექსიკონებში დადასტურებული ეთნოლინგვისტური ტერმინი „წული“ ზუსტდება და ივსება დამატებითი შინაარსით ეთნოგრაფიული მასალებით.

საკითხის შესწავლა ლინგვისტური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ასპექტებით საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა და გავრცელების არეალი. განსაკუთრებით საყურადღებოა, სავლეთ ექსპედიციის დროს ფშავ-ხევსურეთში მოპოვებული ხალხური რწმენა-წარმოდგენების გამომხატველი მასალები (ერიაშვილი, 1974, გვ. 176-182; ქეშიკაშვილი, 1990, გვ. 211; ჭინჭარაული, 2005, გვ. 689).

მეთოდი. საკვლევი საკითხის თავისებურებებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების, დაკვირვების, არსებული ლიტერატურის მიმოხილვის, დიაქრონიული ანალიზი, დესკრიპტული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

შედეგები. სტატიაში წარმოდგენილია „წული“ ეთნოლინგვისტური ტერმინის შინაარსობრივი და ფორმოზობრივი მხარეების აღწერა და კონტექსტური ანალიზი ეთნოლოგიური, ლინგვისტური და ისტორიული ასპექტების გამოყენებით; კვლევა ემყარება ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებში, ლექსიკონებსა და სავლელ ექსპედიციების დროს დადასტურებული მასალების დიაქრონიულ ანალიზს; გათვალისწინებულია ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიც; დაზუსტებულია „წულის“ სემანტიკური მნიშვნელობა, გავრცელების არეალი, მასთან დაკავშირებული ტერმინები (წულაკი, წულეზობი, დედაწული, სეფეწული, სიქალწულე, დისწული, მისწული, წულისწული, სახლისწული, მისწული ...) და ჯვარის ყმობის გამომხატველი წეს-ჩვეულებები (საწულე, წულიანი, წულის სანთელი, მეწულე, წულის ყმა, დროშის ქვეშ შეგორება ...); შესწავლილია „წული“ (//შვილი) საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადასვლით ნაწარმოები ქართული გვარები: წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირი, წულაია...

სამეცნიერო ნაშრომი მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკისა და „წული“ ტერმინის შესწავლის ისტორიით დაინტერესებული პირებისათვის.

მსჯელობა. ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაყრდნობით იძლევა წულ-ი სიტყვის განმარტებას - **ყრმა, წულეზობი, ვაჟი:** „განიკურნა წული (ყრმაი) იგი. მთ. 17, 18; ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოი“ ლ.2,23; „უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი“ გამოსვლ. 1,16; „სამთა ჟამთა წელიწდისათა ეჩუენოს ყოველი წული ყრმაი შენი (წულეზობი შენი)“; უკუეთუ ვშვე ქალი ანუ წული“ (ღმობ, 185, 23). „წინა-დასცუთო ყოველსავე წულსა მისსა“ გამოსლ. 22,48; „გესვა შენ წული“ იერემ,20, 15; „წულმან ვინმე სცა მკერდსა“ სნდ.7, 25; „იქმნენ თავისა შენისა ხატნი წულისანი და ისიძეედ მათ თანა“ 1, ეზეკ.16, 17.

აქვე მოცემულია სიტყვაწარმოებითა და სიტყვაშეერთებით (კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად) მიღებული სემანტიკური ნაირსახეობები: წულაკი-მის-შვილი. წულეზობი-ი მამრი, ვერძი, მამაკაცი (შესწირავს). მაგ.: გინა თუ წულეზობითა, ანუ თუ მდედრთაგან“ (შესწირვიდეს).. გინათუ ვერძსა, გინათუ ნეზუს; (ლევიტ.3,1); „წულეზობითაგან ვიდრე მდედრეზობივადმდე განავლინეთ გარეშე ბანაკისა“ . სახლისწული - შინ შობილი, მსახურის შვილი, ბუში. „რამეთუ არა მეც თესლი, ამან სახლისწულმან ჩემმან დამამკვიდროს მე“ დაბ. 15,3; „სახლისწულნი მისნი და იგინიცა ჭამდენ პურთა მისთა. ლევიტ. 22, 11. დედაწული-ოჯახი; „წარვიდა მის თანა დედაწულითურთ“ ცხ.65,3. დედის-დისწული - დეიდაშვილი. სიქალწულე, სიქალწულეზობა- „ნუ მისცემ მარგალიტსა ამას სიქალწულისასა დატკეპნად ღორთა“. მისწული -შვილიშვილი. სეფეწული- „სამეფოისა კაცი“, მეფის გვარისა, მეფესთან დაახლოებული, სამეფო კარის კაცი: „მუნ იყო სეფეწული ერთი“- იყო ვინმე სამეფოის კაცი“ ი.4, 56. (აბულაძე, 1973, გვ. 139, 164, 388, 396, 551, 552).

იდენტურ განმარტებას გვაძლევს ზურაბ სარჯველაძე „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“. წული - ახალშობილი; ვაჟი მამაკაცი; წულეზობი - მამრი, წულეზობითი - ვაჟკაცური. შესაძლებელია იგივე ძირი იყოს განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებში: წულელა -გამოძიება; წულეული-ღერო (სარჯველაძე, 2001, გვ. 277).

¹ აღნიშნულ საილუსტრაციო მაგალითში (ღვთისმშობლის შობა) „წული“ ქალსაც აღნიშნავს.

ძველი ქართული ენის ტექსტებსა და ლექსიკონებში დადასტურებული სიტყვა - წული და მისი მრავალრიცხოვანი სემანტიკური ვარიანტები გვამღვებს საფუძველს, რომ ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში ეს სიტყვა აქტიურად გამოიყენებოდა.

სულხან-საბა ორბელიანი „წულის“ ბუდობრივ განმარტებას იძლევა: „წული- ვაჟი, რომელი არის სიმხნე და ახოვნება გონებისა დაბ. 34,24. **დედაწული, დისწული, საუფლისწულო, საწულო, სახლის-წული, ძმის-წული** (ორბელიანი, 1993, გვ. 387).

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში წულის სინონიმად დასახელებულია **ვაჟი, მამრი, შვილი** ლუკ.2,23. მისი განმარტებით: **ვაჟი-წული**, ძე, შვილი; **მამრი-ბუნებითად მამალი ცხოველი**; **შვილი** -ნაშობი კაცთა, ვაჟი ანუ ქალი (ფსალ.77, 4,5)/ ესევე ეწოდების ნაშობსა სხუათაცა ცხოველთასა (ფსალ. 28,1,6). კულად მამრსა ეწოდების წული ეწოდების მარტივად, არამედ რთული არა საზოგადო, ვითარ **ძმისწული, დისწული, მაზლისწული, უფლისწული** და სხვა (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 245, 425, 454).

აღნიშნული განმარტებით, წული მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა ყოფილა, რომელიც გულისხმობდა, როგორც ვაჟს, ისე ზოგადად მამალ ცხოველსაც.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „სეფე- წული“ გვარიშვილობის აღმნიშვნელი სიტყვაა და უდრის „უფლისწულს“. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მეორე მთლიანად ქართული სიტყვაა, ხოლო პირველში - სეფე ნასესხებია სპარსულიდან (ჯავახიშვილი, 1928, გვ. 194, 195).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: წული - 1. იგივეა, რაც შვილი. დიდმა მეფემ სამუდამოდ უარი თქვა მეფობაზე, რაკი ტახტი თავის წულს გადასცა (შ. არაგვის.); 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: **ძმისწული, უფლისწული, სეფეწული, ქალწული, დედაწული. წულის-წული** გივეა რაც შვილიშვილი. უყვართ თავისი მამული, ზრდიან შვილს წულისწულსაო (ა. დავით.) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1964, გვ. 1178).

ქართული ენის ციფრულ ლაბორატორიაში წულის სინონიმად სახელდება ვაჟიშვილი, ძე; ანტონიმი-ქალიშვილი, ასული; ჰიპერონიმი-შვილი². სულ დაიძებნა ძველი ქართული ენის ტექსტებიდან ლემების მიხედვით 81 ფრაზა (სინონიმთა ლექსიკონი, თ.გ).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული იყო სოციალურ-რელიგიური ხასიათის წესი „საწულე“.

საწულეს წესს ასრულებდნენ ერთი წლის ასაკის ვაჟის მიმართ თემის მთავარ სალოცავში. ამ წესის შესრულებით მეთემე სასოფლო თემის მთავარი სალოცავის ყმა ხდებოდა. ხევსურეთის თემების უმრავლესობაში თემის წევრები დაბადებიდან ითვლებოდნენ თემის მფარველი ჯვარის „ყმებად“ და მხოლოდ ზოგიერთში ისინი ასეთებად ხდებოდნენ „საწულეს“ წესის შესრულების შემდეგ (ერიაშვილი, 1974, გვ. 361).

ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ბავშვს (ვაჟს) ჯვარის მიმართ ეძლეოდა გარკვეული უფლება-ვალდებულებები, როგორც ჯვარის ყმასა და თემის წევრს (ანთელავა, ბუკია, კვაშილავა, ჩუხუა, 2023, გვ.456).

საწულეგადახდილ ბავშვს „წილი“ ჰქონდა სოფლის ქონებაში. მასში შედიოდა სოფლის კუთვნილი ადგილ-მამული: სახნავი, ტყე, სათიბი, საძოვარი; არ იგულისხმებოდა არც საქონელი და არც სახლი. ~

ხევსურეთის „სოფლის წილ-ნაწილის“ უზენაესი პატრონი, მფლობელი, სოფლის მთავარი სალოცავი ჯვარია. უშვილო ოჯახს „უნაწილო“ ეწოდებოდა. უშვილოდ

² ზოგადი სახელი.

დარჩენილი ოჯახი ჯვარს (//ხატს) ეხვეწებოდა, რომ შვილი მიეცა. უშვილო ოჯახისათვის ვაჟიშვილის შეძენა უკვე ნიშნავდა, რომ იგი აღარ იყო უნაწილო და წილი ედებოდა სოფლის წილ - ნაწილში. უნაწილო ეწოდებოდა იმ ოჯახსაც, რომელსაც მარტო ქალიშვილები ჰყავდა. რადგან „წილ-ნაწილში წილი არ ედო თემის მდებრობითი სქესის მოსახლეობას. „წილ-ნაწილში“ წილი არ ედო „ამანათს“, როგორც თემის გამაერთიანებელი ჯვარის არაყმას და თემის გარეთ მდგომ პირს, მიუხედავად იმისა, რომ თემის ტერიტორიაზე სახლობდა. სოფლის ქონებაში წილი არ ედო უკანონო ბავშვსაც (ერიაშვილი, 1979, გვ. 120).

„საწულეობა“ სხვადასხვა თემში სხვადასხვა დროს იცოდნენ, მაგრამ მას აუცილებლად „დიდ დღეობებზე“ იხდიდნენ, როდესაც ჯვარის დროშა „გამოდოდა“. ამ დღისთვის ბავშვის მშობლები წინასწარ ამზადებდნენ „სასაწულეო ზღვენს“: მსხვერპლად შესაწირავ საკლავს-ორი წლის მოზვერს ან ვერძს (შატილში ორ საკლავს-ცხვარსა და თხას), პურებს, ქაღებებს, ლუდს, არაყსა და სანთლებს (ანთელავა, ბუკია, კვაშილავა, ჩუხუა, 2023, გვ.456).

არდოტში ათენგენას³ მეორე დღეს იცოდნენ საწულეობა. მთელი წლის განმავლობაში დაბადებული წულები ერთად გაჰყავდათ ჯვარში. ამ დღისათვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ. როდესაც ხუცესი წულებს სისხლით განათლავდა, შესთხოვდა ხატს: „შენ უშველი შენს კალთაში შამოგორებულ, შამაბერებულებს არდოტელს წულებს, დაზარდი, კაის ბედის კაცებ გამაიყვანი, შაგიძლავ, დალოცვილო, ნუვის თვალ-გულს მადრევ“ (ქეშიკაშვილი, 1990, გვ.214).

ს. მაკალათიას მასალების მიხედვით, ახალდაბადებული ვაჟის მშობლები იმავე წელს მადლობის ნიშნად ხატს „საწულეო გადასახადს“ მიართმევდნენ, რომელიც შედგებოდა ნახევარი თუნგი არაყისა და კვერებისაგან (მაკალათია, 1930, გვ. 124).

ხევსურეთში წელიწადის დადგომის წინა საღამოს მეკვლეებთან ერთად ჯვარში მიდიოდა ოჯახის ყველა მამაკაცი, მიჰქონდათ კომლზე თითო ქადა. „ქადაზე ზედ იყო დაწყობილი სანთლები იმდენი, რამდენიც ვაჟი და მამაკაცი იყო ოჯახში. იმას ეწოდებოდა **წულადი სანთელი**. **წულის სანთელი** იცოდნენ ფშავშიც (წყაროსთავში), სანთლის კომტებს მიიტანდნენ ჯვარში. მათ ხევსურები შეაერთებდა. ერთად ჩამოქნიდა და ახლად მოვლენილ ხატის ყმებს დალოცავდა, წყალობას გამოსთხოვდა წყაროსთაულას. მთიულეთში „წულის სანთელს“ ოჯახის უფროსი ანთებდა ცალკე (ქეშიკაშვილი, 1990, გვ. 211).

ეთნოგრაფიულ მასალებში მოგვეპოვება მრავალი ფაქტი, რომლებიც უდავოდ ხდიან იმას, თუ რა დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სასიმღეროებს სახატე რიტუალის შესრულების დროს. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთიულეებში უსიმღეროდ თითქმის არცერთი სახატო დღეობა არ ტარდებოდა. ხატში სიმღერას ასრულებდნენ ფერხულის დროს, ან სასიმღეროებს ფანდურზე დაამღერებდნენ (ბარდაველიძე, 1938, გვ. 8).

„საწულეს“ წესის შესრულების მთავარ მომენტად მიჩნეულია შიშველი, ახალდაბადებული (1 წლამდე ასაკის) ბავშვის ჯვარის დროშის ქვეშ „შეგორება“, რომელსაც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში შესატყვისი ახსნა აქვს მოძებნილი. ეს იყო მისტერია ღვთაების (ჯვარის) მიერ ბავშვის შვილებისა. ბავშვის ჯვარის დროშის ქვეშ

³ ხალხური დღესასწაული, რომელიც იმართება ივნისის მეორე ნახევარში.

„შეგორებით“ ჯვარსა და ბავშვს შორის მამაშვილური რიგის (წულებრივი), ხელოვნური ნათესაობა მყარდებოდა (ერიაშვილი, 1979, გვ. 125).

ასეთი დასკვნის უფლებას იძლეოდა ჯვარხატების დროშის საკითხის შესწავლა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ჯვარის დროშის ქვეშ ბავშვის „შეგორება“ შესაძლებელია შევადაროთ სამეგრელოში გავრცელებულ „სქუამ მითორგინაფას“ წესს. „სქუამ მითორგინაფა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა „შვილის შეგორებას“ და შვილად აყვანის ცერემონიალს წარმოადგენდა. ცერემონიალის მთავარი მომენტი იყო მომავალი დედისათვის შვილად ასაყვანი ბავშვის ლოგინში „შეგორება“, რაც ქალის მიერ ბავშვის შობის სიმულაცია იყო (სახოკია, 1956, გვ. 74-75).

ხევსურეთში „ჯვართ ენაში“, სხვა ტერმინებთან და გამოთქმებთან ერთად ვხვდებით „წულსაც“, რომელიც „შვილს“ აღნიშნავს. ჯვართ ენაშივე ვხვდებით ტერმინს „ახალწული“, რომელიც ახალდაბადებულ ბავშვს ნიშნავს. ვინაიდან „ჯვართა ენა“ ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა კრებას წარმოადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „წულიც“ ხევსურის ყოველდღიურ მეტყველებაში არ იხმარებოდა. ის ფაქტი, რომ წული ჯვართა ენაშია დამოწმებული, ხაზს უსვამს ტერმინის სიძველეს. გარდა „შვილისა“ წული ფშავ-ხევსურეთში აღნიშნავს მამაკაცს, მამრს. „წული არის მამაკაცი „აკვნის ბავშვებიანად“ (ოჩიაური, 1954, გვ. 129-132).

წულის პარალელურ ტერმინად ხევსურეთში ჩანს **კაცი**, ხოლო ახალწულის - **ახალკაცი**. თუ **წული/კაცი** იყო მეთემე მამაკაცი განურჩევლად ასაკისა, დიდიც და პატარაც; ახალწული/ახალკაცი განსაზღვრული ასაკის, ჩვილობის ასაკის მამრობითი სქესის ბავშვს ნიშნავდა. სიჭაბუკის კაცის აღმნიშვნელია ვაჟკაცი ანუ ხევსურულად წამამდგარი ვაჟკაცი. **ხელკაცი** ხევსურეთში ეწოდებოდა სრულასაკოვან, სრულუფლებიან მეთემე მამაკაცს

საწულეს წესის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს გვაროვნული თემის, განსახლების გვაროვნული პრინციპის რღვევასთან, როდესაც თემში დაშვებულ იქნენ უცხო, არამონათესავე გვარები, მამები თუ პირები, რომლებიც აღნიშნული წესის საფუძველზე ხელოვნურ ნათესაურ კავშირს ამყარებდნენ არამონათესავე ჯგუფებთან. საწულე წესი ტერიტორიული თემის პირმო ჩანს. ამ დროს იცვლება „წულის“ შინაარსიც. ჩნდებიან ისეთი წული-მეთემენი, რომლებიც მხოლოდ „საწულეს“ გადახდით სხდებიან თემის წევრის-წულის -უფლებრივ ჩარჩოებში. ანუ „შამაგორებული“, შამაბარებული წულები (ერიაშვილი, 1979, გვ. 128).

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ხალხური რწმენა -წარმოდგენები სათავეს უნდა იღებდეს უკვე გარდასული, ტოტემისტურ-რელიგიური ფორმიდან.

ალექსი ჭინჭარაულმა აღნუსხა ხევსურეთში გავრცელებული **წულ/წვილ** -ფუძიანი სიტყვები: ახალწული, ბიძა-ძმისწული, გაყმაწვილდების, დიაც -ყმაწვილი, დისწულ-დედიძმანი, იქალდისწულებს, მესაწულე [ე], პურიან-წულიანი, საწულე, საწულეობა, ქალ-დისწული, ქმრისძმისწული, ყმაწვილობს, ყმაწვილ-ყმუწვილი, შვილ-ძმისწულები, წული, წულიანი, წულიანობა, წულიან-პურიანი, წულიან-სასწაულიანი, წულის [წულადის] სანთელი, წულ-ყმა (ჭინჭარაული, 2005, გვ. 1090).

მოტანილ მასალებს აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის სარწმუნოებრივ შეხედულებათა შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საველე ექსპედიციების დროს ჩაწერილ ტექსტებს შემოუნახავთ წარმართული ჯვარის გარშემო გარკვეული სამსახურის ვალდებულება - საწულეს წესის შესრულება

ხევსურისათვის განსაზღვრულ ასაკში და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია: ხევსურული თემის მამრობითი სქესის წარმომადგენელი აღნიშნება ტერმინით წული. აქედან არის შემდეგ ნაწარმოები: საწულე, ახალწული, საწულადო. საწულედან ნაწარმოებია ტერმინი საწულეობა, სასაწულეო, მესაწულე. ახალწული ახალშემეხილ ვაჟიშვილს ეწოდება, საწულე იმ წესს, რომელსაც ახალწულს უხდებიან განსაზღვრულ ასაკში. საწულეობა -იმ დღეს, როდესაც საწულეს გადაუხდებიან ახალწულს. ახალწულის მამას მესაწულე ჰქვია; საკლავს, რომელსაც ჯვარში დაკლავენ საწულეობა დღეს, სასაწულეო ზღვენი ეწოდება; სანთელს, რომელსაც ანთებენ, საწულადო სანთელი, ხოლო საწულე გადახდილ ახალწულს წულ-ყმა ეწოდება (ერიაშვილი, 1972, გვ. 179-180).

ხევსურეთის ზოგიერთ თემში „საწულეგადახდილი“ ბავშვი „ყმის“ გარდა ტერმინ „წულ-ყმითაც“ მოიხსენიებოდა. შატილისა და გურო-გიორგიწმინდის თემებში დამოწმებულია საწულეს პარალელურად ხმარებულ ტერმინსაც „საწულ-ყმო“ // „საწულ-ყმე“. წულ-ყმის ხმარებას ვხვდებით ხუცობათა ტექსტებშიც, სადაც იგი „წულის“ პარალელურად იხმარება (ერიაშვილი, 1972, გვ. 179-180).

ჩვენ მიერ ზეპირმეტყველებაზე დაკვირვებით გაირკვა, რომ დღეს ტერმინი „წული“ დასავლეთ საქართველოში აღნიშნავს უფროსს ვაჟს, ხოლო ქართლში მისი სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოვებულია, მასში იგულისხმება ქალიც და ვაჟიც.

ქართულ ენაში დომინირებს „ძე“ და „შვილ“ სუფიქსოიდების შემცველი გვარები. ქართულში შვილ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულში სქირი//სკირი „შვილი“, რომელიც გვხვდება რამდენიმე გვართან. სქირი (// სკირი) მეგრულში დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, ამოსავალია სახელი წულა. შდრ. წულაია, წულამე. XVII საუკუნის დამლევის საეკლესიო საბუთებში დასტურდება წულაისძირი: წულა-იმ-სქირი - წულა-ი-სქირი - წულეისძირი - წულეისკირი (ცხადაია, 2000, გვ. 160).

საწულეისკირო - სოფელია მდინარე ცივის ნაპირზე, სენაკის რაიონში, დაფიქსირებულია მე-17 საუკუნის ბოლო მეოთხედის შედგენილ შეწირულობის წიგნში: „პაპუნა ჩიჩუამ ჩვენი წულეისკირი მოგვპარა“ -წერს კათალიკოს ნემსაძე, ხოლო ვარიანტი წულაისქირი გვხვდება XVIII ს. დამდეგის საბუთებში (დონდუა, 1970, გვ. 613, 677).

როგორც ჩანს, საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადასვლით ნაწარმოებია ქართული გვარები: წულუკიძე, წულამე, წულუკიანი, წულეისკირია, წულაია...

ამრიგად, ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებსა და ლექსიკონებში დადასტურებული „წული“ უძველესი ეთნოლინგვისტური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ვაჟიშვილს, ძეს, მამაკაცს, გვხვდება მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: წულაკი, წულებრივი, სახლისწული, დედაწული, სიქალწულე, სეფეწული, დისწული, უფლისწული, წულისწული...

ჩვენ მიერ მოძიებული საილუსტრაციო მაგალითების შედარებამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სავლეთ ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ჩაწერილ მასალებთან გვიჩვენა, რომ ფშავ-ხევსურეთში „წული“ ვაჟიშვილს ნიშნავს და გამოხატავდა ჯვარისა (//ხატისა) და თემის წევრი მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულებას-საწულეს წესის შესრულებას განსაზღვრულ ასაკში. მასთან დაკავშირებულია ტერმინოლოგია: საწულე, ახალწული, საწულადო. საწულეობა, სასაწულეო, მესაწულე. ახალწული, საწულეობა, მესაწულე; სასაწულეო ზღვენი, საწულადო, წულ-ყმა

საწულეობის წესში განსაკუთრებით საყურადღებოა შიშველი, ერთწლამდე ასაკის ბავშვის (ვაჟის) დროშის ქვეშ შეგორების რიტუალი, რომელსაც ეთნოგრაფიულ

ლიტერატურაში შესატყვისი ახსნა აქვს მოძებნილი: ჯვარის მიერ ბავშვის შვილების. ბავშვის ჯვარის ქვეშ შეგორებით ჯვარსა და ბავშვს შორის მამაშვილური ნათესაობა მყარდებოდა. ეს რიტუალი შესაძლებელია შევადაროთ სამეგრელოში გავრცელებულ „სქუამ მითორგინაფას“ (შვილის შეგორებას) წესს, რომელიც შვილად აყვანის ცერემონიალს წარმოადგენდა.

თანამედროვე ქართულში „წული“ ადამიანებს შორის ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინია და შვილს ნიშნავს, დასავლეთ საქართველოში - უფროს ვაჟს, ხოლო ქართლში სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოებულია და აღნიშნავს, როგორც ვაჟს, ისე ქალს.

„წული“ (/შვილი) საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადასვლით ნაწარმოებია ქართული გვარები: წულუკიძე, წულაძე, წულუკიანი, წულეისკირია, წულაია...

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება.
- ანთელავა, ნ. ბუკია, მ. კვაშილავა, ი. ჩუხუა, მ. (2023). *ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია*. თბილისი.
- ბარდაველიძე, ვ. (1938). აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*. I, 8.
- დონდუა, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*. თბილისი: მეცნიერება.
- ერიაშვილი, ჟ. (1972). „საწულესა“ და „მისამბარეს“ წესები ხევსურეთში. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*. XVI-XVII, 179-180.
- ერიაშვილი, ჟ. (1974). შთამომავლობით-ნათესაური ცნებების სოციალური მნიშვნელობის საკითხები ეთნოგრაფიის შუქზე („წული“). *საისტორიო კრებული*, IV, 361.
- ერიაშვილი, ჟ. (1979). საწულე (უძველესი ქართული სოციალური ცნებები-ყმა, კაცი, წული-აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგიერთი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*. 3, 123.
- ოჩიაური, თ. (1954). *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან*. თბილისი.
- მაკალათია, ს. (1930). *მთიულეთი*. ტფილისი: სახელგამი.
- ორბელიანი, ს.ს. (1993). *ლექსიკონი ქართული*. II. თბილისი: მერანი.
- სარჯველაძე, ზ. (2001). *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*. თბილისი: ს.ს. ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- სინონიმთა ლექსიკონი. *ქართული ენის ციფრული ლაბორატორია*. (თ.გ). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://dlab.ug.edu.ge/translate?source=ka&target=en&text>.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. (1964). თბილისი: მეცნიერება.
- ქეშიკაშვილი, ი. (1990). *ღმერთები, მითები, რიტუალები*. თბილისი.
- ჩუბინაშვილი, ნ. (1961). *ქართული ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ცხადაია, პ. (2000). *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში*. თბილისი.
- ჭინჭარაული, ა. (2005). *ხევსურული ლექსიკონი*. თბილისი: ქართული ენა.
- ჯავახიშვილი, ი. (1928). *ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი*. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტი.

References

- abuladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni*. [Dictionary of the old Georgian language]. tbilisi: metsniereba.
- antelava, n. buk'ia, m. k'vashilava, i. chukhua, m. (2023). *kartuli k'ult'uris etnolingvist'uri entsik'lop'edia*. [Etno-linguistic encyclopedia of the Georgian culture]. tbilisi.
- bardavelidze, v. (1938). aghmosavlet sakartvelos kartveli mtielebis sasuliero t'ekst'ebi. [Religious texts of the Georgian mountaineers of Eastern Georgia]. *masalebi sakartvelos etnografiisatvis*. [Materials for ethnography of Georgia]. I, 8.
- dondua, i. (1970). *kartuli samartlis dzeglebi. saek'lesio sak'anonmdeblo dzeglebi (XI-XIX ss.)*. [Monuments of Georgian law. Church legislative monuments (XI-XIX centuries)]. tbilisi: metsniereba.
- eriyashvili, zh. (1972). „sats'ulesa" da „misambareos" ts'esebi khevsuretshi. [„Satsule" and „Misambareo" rules in Khevsureti]. *masalebi sakartvelos etnografiisatvis*. [Materials for ethnography of Georgia]. XVI-XVII, 179-180.
- eriyashvili, zh. (1974). shtamomavlobit-natesauri tsnebebis sotsialuri mnishvnelobis sak'itkhebi etnografiis shukze („ts'uli"). [Issues of the social significance of the concepts of descent and kinship in the light of ethnography ("Tsuli")]. *saist'orio k'rebuli*. [historical collection]. IV, 361.
- eriyashvili, zh. (1979). sats'ule (udzvelesi kartuli sotsialuri tsnebebi-qma, k'atsi, ts'uli-aghmosavlet sakartvelos mtis zogierti etnografiuli monatsemebis mikhedvit). [Satsule (ancient Georgian social concepts - kma, katsi, tsuli - according to some ethnographic data of the mountains of eastern Georgia)]. *sakartvelos ssa metsnierebata ak'ademiis matsne. ist'oriis, arkeologiis, etnografiisa da khelovnebis ist'oriis seria*. [Herald of the Academy of Sciences of the USSR of Georgia. History, Archaeology, Ethnography and Art History Series]. 3, 123.
- ochiauri, t. (1954). *kartvelta udzvelesi sarts'munoebis ist'oriidan*. [From the history of the ancient beliefs of Georgians]. tbilisi.
- mak'alatia, s. (1930). *mtiuleti*. [Mtiuleti]. t'pilis: sakhelgami.
- orbekiani, s.s. (1993). *leksik'oni kartuli*. [dictionary Georgian], II. tbilisi: merani.
- sarjveladze, z. (2001). *dzveli kartuli enis sit'qvis k'ona*. [Kona, the word of the old Georgian language]. tbilisi: s.s. orbekianis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i.
- sinonimta leksik'oni. [Dictionary of synonyms]. *kartuli enis tsipruli laborat'oria*. [Digital laboratory of the Georgian language](n.d). Retrieved from website:
<https://dlab.ug.edu.ge/translate?source=ka&target=en&text>.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni*. [Explanatory dictionary of the Georgian language]. (1964). tbilisi: metsniereba.

keshik'ashvili, i. (1990). *ghmertebi, mitebi, rit'ualebi. [Gods, myths, rituals]*. tbilisi.

chubinashvili, n. (1961). *kartuli leksik'oni. [Georgian dictionary]*. tbilisi: sabch'ota sakartvelo.

tskhadaia, p'. (2000). *gvarebi da gvartha dasakhlebani samegreloshi. [Surnames and surname settlements in Samegrelo]*. tbilisi.

ch'inch'arauli, a. (2005). *khevsuruli leksik'oni. [Khevsuri dictionary]*. tbilisi: kartuli ena.

javakhishvili, i. (1928). *kartuli samartlis ist'oria. ts'igni p'irveli. [History of Georgian law]*. t'pilisi: t'pilisis universit'et'i.